# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეშელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია“ პირველ ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.



ვემებ ფრანგულის ენის

გაკვეთილებს.

მსურველებს შეუძლიანთ ამბავი შეიტყონ ჩიმიშკიანის შენობაში, პირველის ნაკორნის ქუჩის ბოლოს. პეტრე მირიანიშვილი

(10—1)


ტფილისი, 6 ივლისი

ქალაქმა რომ ითავოს და გახრიოკებული მიდამონი დაჰფაროს ტყეებით, ასეთი საგმირო საქმე არა თუ მარტო აამებდა თვალსა და შეაზომიერებდა, გააკეთებდა ტფილისის ჰავას, არამედ, როგორც იმ დღესა ვსთქვით, გარდიქცეოდა ერთ-ერთ თვალ-საჩინო წყაროდ ქალაქის ნივთიერის სიმდიდრისა. მართლაც-და წარმოიდგინეთ, რომ მახათის მთიდამ მოკიდებული მთელი ეს აღმოსავლეთის სერები დაფარულია ტყეებით. აგრეთვე მამულები ვერისა, მთაწმინდისა და სხვანი შემოსილია დიდრონის ხეებით. განა ასეთი გარემოება ცოტათი წასწევდა წინ ტფილისის ნივთიერს ძალ-ღონეს? ხე ტყის შემოსავალსაც რომ თავი დავანებოთ, ეს ამოდენა შეუძლებელი მოხელე ხალხი განა საზაფხულოდ ერთიან არ გავიდოდა ამ ადგილებზე, თუ-კი შესაძლებელი იქნებოდა, რომ ერთი ამოესუნთქა ადამიანს გარეშე ტფილისის მტვრისა და ვაი-ვაგლახისა! ტფილისის მიდამო თავისის მდებარეობით ისე ჩინებულად არის მეწყობილი ქალაქის წარმატებისათვის, რომ უკეთესი და მარჯვე საზაფხულო ადგილი ძნელად მოიპოვება აქაურ მცხოვრებთათვის. ტფილისის მიდამო რომ ასე აოხრებული არ იყოს და ჰქონდეს შესაფერი ტყე, დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ ზაფხულობით ძალიან ცოტა ხალხი გავიდოდა სხვაგან და საქმის კაცი, რომელიც დღეს ძალა-უნებურად ანებებს აქაურობას საზაფხულოდ თავსა, იქნება არ გასდგამდა აქიდამ განა მარტყოფი ურიგო ადგილია და განა მარტყოფს ჩამოუვარდება თავის მდებარეობით ტფილისის მიდამო, თუ-კი ასე გახრიოკებული არ იქნება!

ეხლა თუ ქალაქი თავის საძოვრებში იღებს რაღაც ხუთას-ექვსას თუმანს წელიწადში, მაშინ, როცა ტყეებით მორთავს თავის მიწებს და საზაფხულო საცხოვრებელ ადგილად აქცევს, წლიური შემოსავალი ერთი ასად მაინც მეტი ექმნება.

ერთის სიტყვით, რომელ მხრიდამაც უნდა შევჰხედოთ ტყეების მოშენებას ტფილისის მიდამოში, გინდ ჰაერის სისუფთავე ავიღოთ, რაც უმთავრესი საგანია ყოველ განწყობილ ქალაქისათვის, — გინდ ნამდვილი ლაზათი და თვალის წარმტაცი ღირსება ქალაქისა და გინდ თვით უკეთესი წყარო ქალაქის ნივთიერ გამდიდრებისა, — ყოველივე ეთანხმება თქვენს ანგარიშს, რომ ტფილისმა აუცილებლივ, დაუყოვნებლივ მუყაითად და მედგრად უნდა მოჰკიდოს ხელი ტყეების გაშენების საქმეს. რაც აქამომდე გაკეთებულა შიგ ქალაქში, ჯერ-ხანად ესეც უთვლად საკმარისია. ძველი თვით-მმართველობამ ახლა მაინც მიაქციოს თავისი ყურადღება ტფილისის მიდამოს და და თავისი შემოწმებული, ცნობილი და აღიარებული მხნეობა მოახმაროს ამ ფრიად საყურადღებო საქმეს, რომელიც ასე მივიწყებული და მხედველობიდამ განყენებული არის დღემდე.

რაგვარად განწყობილს ქვეყნებში უბრალო სოფელი რა არის, სოფელსაც-კი უშენებენ ტყეებს, თუ ახლო-მახლო არა აქვსთ მზადა, და აბა მთელი ქალაქი როგორ მოისვენებს, მინამ დიდრონ ტყეებს არ შემოირტყამს გარშემო. მეტადრე თუ ქალაქს ელის რამ მერმისი და აქვს ნიშან-წყალი სიცოცხლისა, უტყუოდ თითქმის შეუძლებელია იმისი წარმატება.

ეს ისეთი ცხადი საქმეა, რომ მომეტებული ლაპარაკი არ არის საჭირო. ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი თვით-მმართველობა დროზედ მოჰკიდებს ხელსა და მხნედაც შეუდგება საქმეს, მით უმეტეს, რომ დღეს წინ ველარ გადაეღობება ქალაქს უწყლობა. ბევრი აღარ დასჭირდება, რომ თავის მიდამოში გაიყვანოს მილით წყალი და ჰრწყოს, რამოდენა ადგილიც დასჭირდება, ასე რომ ამ მხრით წყლის ხარჯი მაგდენი არა მოელის-რა ქალაქს. დარჩება მხოლოდ ხარჯი გასწოროს კაცებზე და ნერგის გადმოტანაზე. ოცი, ოც-და-ათი კაცი სულ ერთიან პირს მოსწმენდს ამ საქმეს როგორც პირველ მუშაობაში, აგრეთვე შემდეგს მოვლასა და პატრონობაში. დასჭირდება მხოლოდ ერთი ტყის მცოდნე კაცი, რომელმაც უნდა მეცნიერული ხელმძღვანელობა შეიძლოს მუშაობაში და დარგოს პირველად ისეთი ხეები, რომელიც ადვილადა ხარობს და მალეც იზრდება.

ერთის სიტყვით, ტფილისის ტყით მორთვაზე ქალაქმა რომ წელიწადში გადადოს ხუთას-ექვსასი თუმანი, სრულებით საკმარისია, რომ რამდენსამე წელს ჩვენა გვქონდეს შესამჩნევი ტყეები.

იტყვით — მერე ხუთას-ექვსასი თუმანი ფული არ არისო! — როგორ არა, ფულია, მაგრამ განა მარტო ეგ ფული იხარჯება ქალაქის საჭიროებაზე? ან სხვა რომელიმე საჭიროება განა შეედრება ამ უდიდესს საჭიროებასა და საშინელს ნაკლს ქალაქისას?

თუ მაინცა და მაინც ფული ისე უაირათად არის განაწილებული ათას გვარს ხარჯებზე, რომ, არა თუ ხუთას-ექვსასი თუმანი, ხუთას-ექვსასი მანათიც აღარა რჩება ხარჯსა, მაშინ შეიძლება რომელიმე ხარჯი ან შემცირდეს, ან სრულებით გადიდოს დრომდე. გინდ ესეც არ იყოს. ქალაქს განზრახული აქვს და ხარჯიც დამტკიცებულია, მაგალითად, მუხრანის ხიდის გაკეთებაზე. თუ-კი თვით-მმართველობა შეიგნებს ყოვლად აუცილებლობას ტყის მოშენებისას, ნუ თუ მოუხერხებელია ამ ხიდის შეყენება! მოუხერხებელი-კი არა, ჩვენის აზრით, ტფილისს ჯერ-ჯერობით სრულებითაც მაგრე არ უჭირს მუხრანის ხიდი, რომ ერთი ათი წელიწადი მაინც ვერ გასძლოს უმისობა. გასძლებს-კი არა, არც-კი შეიმჩნევს უხიდობას, იმიტომ-რომ მუხრანის ხიდზე ქვეითი მგზავრი თუ გაივლის, თორემ ეტლებს არც კი გაატარებენ იქა: იქვე ორ ორი ავლაბრის ხიდია, სადაც მუქთად გაჰყავთ ეტლები, და გიჟი ვინ იქნება, ტყუილუბრალოდ მუხრანის ხიდზე ბაჟი იხადოს! ან რომელ საჭიროებისათვის ივლის იქ ეტლი? — საქონელი თუ მოვა რამ, უნდა თათრის მოედანზე მიიტანონ, და თათრის მოედანს ხომ ორი ხიდი აქვს. მარტო გიჟი მიატარებს მუხრანის ხიდზე, ავა რუსის ბაზარზე, იქიდამ ჩაივლის შუა-ბაზარსა და მერე გავა თათრის მოედანზე. ამისთანა გიჟები რომ ძალიან ბევრი გვეყოლებოდეს, მაშინ არას ვიტყოდით მუხრანის ხიდის წინააღმდევ, მაგრამ საბედნიეროდ ასეთს გიჟს სანთ-

# ფელეტონი

## ბნელი

(მოთხრობა)

### II

#### სასოფლოზე

შუა სოფელში-კი არა, და არც ძლიერ განაპირებით, სცხოვრობდა ერთი შეძლებული გლეხი მამულაშვილი, ხალხით მრავალ ოჯახის პატრონი. ოჯახი სცხოვრობდა დიდ უზარმაზარს ქვითკირის სახლში, რომელსაც უკანა კედელი ზედ სასოფლო გზის პირას ჰქონდა ამოყვანილი. მარჯვენა მხრივ სახლს ჩაუდიოდა საურმე გზა, მარცხნივ-კი ზედვე ჰქონდა მობმული ქვითკირის დიდი მარანი. მარნის უკანა კედლიდამ დაწყებული, გზის პირად, იყო გაჭიმული მაღალი ძქძის ლობე, რომელიც ორმოცის ადლის შემდეგ ცერდებოდა და ჰხლუდავდა მარნის გვერდზედ მდებარე ხეხილიან საფუტკრეს. ლობის პირში შიგნიდამ იდგა ბწვრეზედ სამი კაკლის ხე; გზის მხარეს-კი იყო მიწყობილი ლობის ძირზედ მუხის ხერგები. გზის მეორე ნაპირსაც ასეთივე ლობე ჰქონდა გავლებული. ამ ორღობეში წვიმების დროს იცოდა საშინელი ტალახი, მაგრამ, რა ტალახიც უნდა ყოფილიყო, მაინც კვირა-უქმე დღეს აქ მოიყრიდნენ ხოლმე თავს მცხოვრებლები, სასოფლო საქმე ექნებოდათ, თუ გულის გაყოლება ენდომებოდათ. ამისთვის ეს ორღობე იწოდებოდა „სასოფლოდ“.

სოფელში ბევრი სხვა უკეთესი ადგილები იყო, სადაც შეეძლოთ მცხოვრებელთ მოეხდინათ სასოფლო ყრილობა, მაგრამ იკრიბებოდნენ ამ ორღობეში არა ადგილის უკეთესობით, არამედ სხვა მიზეზების გამო. ორმოცის წლის წინად (რა დროდამაც ჩვენი მოთხრობა იწყება) მამულაშვილების ოჯახში გარდაიცვალა ერთი ღრმად მოხუცებული ბერიკაცი დათია. დათიას დიდად პატივსა სცემდა მთელი სოფელი და ყველას მაგალითი იყო, როგორც კარგი ხელოსანი ურმისა, გამოცდილი გუთნის დედა და მეფუტკრე. მანამ ჯანი და ღონე ნებას აძლევდა, დათია ტყესა და მინდორში ალამებდა და ათენებდა. როცა აღარ შეეძლო ბევრის სიარულისატანა, ხელი მიჰყო ფუტკარს და შინად ურმების კეთებას. იყიელებდა თუ არა მეორეს მამალი, დათია ფეხზე იყო. საქმის დღეს უსაქმოდ ვერავინ ჰნახავდა, კვირა-უქმე დღეს-კი იჯდა მთელი დღე საფუტკრეს უკან გზაზედ და ვისაც მოახელთებდა, დაუწყებდა ლაპარაკს. იმისი სალაპარაკო იყო ან ურემი, ან გუთანი, ან ფუტკარი.

სიბერის დროს ძველ ამბებზედაც გადადიოდა. ლაპარაკის დროს ხშირად ხმარობდა, როგორც დასამტკიცებელს საბუთს: „გარჯილობას რა მოჰქონდა და საწუთრო დაულეველიო“. ამ ნაირად დათიამ მიიზიდა სოფლის მკვიდრნი და კვირა-უქმე დღეს ყველა ამ ორღობისაკენ მიეშურებოდა, რათა გაეგონათ იმისგან ან ავი, ან კარგი. ხალხს ჩვეულებად გარდაექცა ამ ორღობეში თავის მოყრა და დათიას სიკვდილის შემდეგაც აქ იკრიბებოდა. თვითონ ოჯახიც-კი ძალაუნებურად იზიდავდა ხალხს. ძნელად მოიპოვებოდა სოფელში ისეთი კაცი, რომელსაც წელიწადში, ორჯელ-სამჯერ თუ არა, ერთხელ მაინც არ ეჭამა მამულაანთ ოჯახში პური. თუ ვინმე არ მოჰყვებოდა „მამითადში“, მკათათვეს, ან „ალილოობას“, ან „ბერიკობას“, ან „ყეენობას“ მაინც და მაინც გაილებდა გემოს მამულაანთ პურ-ღვინისას. მამულაანთ რძლებიც პურის ცხობის დროს ხშირად გამოუგზავნიდნენ ხოლმე თბილ-თბილს პურს გზაზედ მსხდომთ. მას შემდეგ უფრო დამტკიცდა ამ ადგილს სასოფლო, რაც ერთმა სომხის ბიჭმა, არტემა არზუმანოვმა, გაალო მამულაანთ საფუტკრის კუნჭულში, პირველი დუქანი სოფელს მრავლეთში.

არტემას წინად საწვრილმანო დაჰქონდა იღლიაში ამოჩრილის ყუთით, მერე ვირით. ბინა ყოველთვის მამულაანთ ოჯახში — მარანში ჰქონდა. რომ ცუდი ხმა არავის დაედო, ოჯახმა დაინათლავა არტემა. შემდეგში, როგორც ნათლი-მირონს და ამასთანავე საწყალს, მამულაშვილებმა დაუთმეს საფუტკრის კუნჭულში უქირაოდ სადუქნე ადგილი და თითონვე უფასოდ აუშენეს წნულის პატარა დუქანი. არტემა ბუნებით სულელი არ იყო, მაგრამ განგებ-კი თავს ისულელებდა, ასე რომ მთელ სოფელში დედაკაცები „რეტიანს“ ეძახოდნენ სახელის მაგივრად და მამაკაცები „დამთხვეულს“, ანუ „დაუჭკვიანებს“. კაცს, თუ ქალს, დიდსა, თუ პატარას, ყველას გაურჩევლად ეხუმრებოდა და ებლაძუნებოდა. ვისაც უნდა ელანძღა, ანუ ეცემნა, არც პირს, არც ხელს არავის უბრუნებდა, თუნდ იმაზე პატარაც ყოფილიყო: ყველას ხუმრობით იგერიებდა.

ამ ნაირის ქცევით არტემამ შეაყვარა თავი მკვიდრთ და კვირა-უქმე დღეს ბევრი იმის გულისათვისაც მოდიოდა სასოფლოზე, რომ არტემა ეყვირკებინათ. მიზეზსაც მალე იპოვნიდნენ ხოლმე. ყველამ კარგად იცოდა არტემას ხასიათი, რომ ნისიებს წაუმატებდა ხოლმე. ვისაც უნდოდა არტემას წვალება, მივიდოდა და ეტყოდა: „აბა, ერთი დავთარი მაჩვენე, ჩემზე რამდენია“. დავთრის წაკითხვის შემდეგ დაუწყებდა არტემას ცემა-ტყეპას და ესეც მოჰყვებოდა ყვირილს. ამ ყვირილით საქმე თავდებოდა: არტემა მაინც ყველასაგან მოუკლებლად იღებდა, რაც დავთარში ეწერა.

კრებულზედ ერთის ფეხით წინ სასოფლოზედ გამოიარეს სხვა მგზავრებმა. ერთი ახალგაზდა ბიჭი მოუძღოდა წინ კვიციანს ცხენს, რომელსაც ეკიდა ლურჯი ხამის სუფრა-გადაფარებული ხურჯინი. ცხენს უკან, მეორე, ხანში შესულს კაცს მოჰყვანდა ყელზე აპეურ-შებმული თოხლი. ამათ უკან მისდევდა სამი ძველ-ქათიბა მანდილოსანი, რომელთაც წინა კაბის კალთები სარტყლებში ჩაეკეცნათ და მკლავებზედ გადაედოთ თეთრი დაკეცილი მანდილები. ამათ დანახვაზე ხალხში, რომელიც ბლომად შეყრილიყო სასოფლოზე, ლაპარაკის საგანი გამოიცვალა.

— აბა, ე ვინ გადაცვლილა, კაცებო? — წამოიძახა ერთმა და ამის შემდეგ გააბეს ყველამ.

— ვინა-და, საწყალი თევლიანთ ზურია.

— ო... ვაჰ!

— საწყალმა აკი ვეღარა იკეთილარა, რაც ი ბატონმა გალახა!

— აი, იმი ცოდო და იმი ცოლშვილი ცოდო ნუ დაულიოს გზირს, როგორც იმან დაიდო იმი ცოდო!

— თავი ღლეში არ გამიგონია,

ლითაც ვერ მოჰჭნახავთ. ამიტომაც ძალიან ადვილი მოსახერხებელია, რომ მუხრანიანთ ხიდის ხარჯი პირდაპირ, დაუფიქრებლივ გადასდონ ტყეების მოშენებაზე და ეს საცოდავად დაობლებული და გახრიოკებული ტფილისის მიდამოააყვავონ, გაამშვენიერონ და გაალაზათიანონ ჩვენი ქალაქი ისე, როგორც ნამდვილ მზრუნველის ხელიდამ არის მოსალოდნელი.

თ—ძე

## ახალი ამბავი

*** როგორც სარწმუნო კაცებისაგან გვესმის, ავჭალის წყალს თანდათან ემატება გასავალი, ასე რომ გინდაც აღარ მოემატოს მუშტარი, მაინც მილის წყლის საქმე იმ დონეზედ დადგა, რომ თავისს თავს უზარალოდ გამოისყიდის. ორს თვეზე მეტი იქნებაო, ამბობენ, რაც დღიური შემოსავალი ჩვიდმეტ თუმნიდამ ოცამდე ადისო. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზაფხულოდ ძალიან ბევრი მუშტარი მოაკლდა წყალსა, ბევრი ხალხი გაიკრიბა ტფილისიდამ და ჯარებიც გავიდნენ. ამისდა მიუხედავად შემოსავალი მაინც მომეტებული ექნებოდა ქალაქსა, რომ წყალს არა ჰპარავდნენ სხვა-და-სხვა კრანებიდამ. კლიტეები ისეთის სადა მოწყობილობისაა, რომ იმათი გაღება არავითარს სიძნელეს არ შეადგენს. მეტადრე ესრეთ წოდებულს ცეცხლის საქრობ კრანებს სულ ადვილად აღებენ თურმე და ღამ-ღამეობით მიაქვთ წყალი. ქურდობა განსაკუთრებით გახშირებულია იმისთანა კრანებზე, რომელიც გაუკეთებიათ კერძო კაცების სახლებში და წყლის-საზომავი მაშინა-კი არ დაუდგამთ. ამისთანა კრანებიდამ წყალი გააქვთ, არა თუ მარტო ღამით, არამედ დღისითაცაო. იუნკრების სასწავლებელთან ქალაქსა აქვს საზოგადო კრანი, საიდამაც მოსამსახურე კაცი წვრილ-წვრილადა ჰყიდის წყალსა. ღამ-ღამეობით ჯაჭვს ავლებს გარშემო და კლიტითა ჰკეტავს, მაგრამ ვერც ის თხელი ჯაჭვი და ვერც საცოდავი კლიტე ვერ უმაგრდება ქურდების წადილს წყლის მოპარვისას. ამ უკანასკნელს დროს თურმე ორჯელ-სამჯერ გასტეხეს კლიტე, მოხსნეს ჯაჭვი და წყალი მოიპარეს. საკვირველი ის არის, რომ ამ ადგილას დანიშნულია საკუთარი კაცი პოლიციისა და ასეთი ქურდობა როგორა ჰხდება, რომ პოლიციის კაცმა ერთხელ მაინც ვერ დაიჭირა ქურდი. ეხლანდელი წყლის შემოსავალი ქალაქისა იმდენია, რომ ქალაქს თამამად შეუძლიან უკეთ მოაწყოს თავისი საქმეები და არ დაიშუროს მცირეოდენი ხარჯი ამ ქურდობის მოსასპობლად.

*** ამ თთვის ხუთს, დილის ოთხს საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, ციციანოვების სახლებში, № 44, გაქურდეს ტელეგრაფში მოსამსახურე. ქურდები ქუჩიდამ ასულან აივანზე, იქიდამ გაუღიათ კარი და შესულან ოთახში. აქ სტოლიდამ აუღიათ ოქროს საათი და ფული შვიდ თუმნამდე და გამოსულან ისე, რომ იმავე ოთახში მძინარე პატრონებს ვერც-კი გაუგიათ.

*** სოფ. ველისციხე (სიღნაღის მაზრა): ოც-და-ათი თიბათვე უკულმართად გაუთენდა ველისციხელებს. ნაშუადღევს, სამს საათზე, მოვიდა საშინელი სეტყვა და ოცის წუთის განმავლობაში წარეგვა აქაური ვენახები. როგორც მოხუცნი ამბობენ, ჯერ ამისთანა სეტყვა არ გვინახავსო. სწორედ მუშტის ტოლებს ისროდა და ყინულის ნამსხვრევებსა ჰგავდა. კიდევ კარგი, რომ სეტყვა ხშირი არ იყო, თორემ ვენახებს სულ ერთიანად გაანადგურებდა. სრული დასაკლისი, როგორც ამბობენ, ძალიან დიდი უნდა იყოს. იმ დღესვე სოფელს გავაზში ხე წამოუქცევია ქარიშხალს და ორი დედაკაცი უმსხვერპლია.

*** საინგილოდგან დაჭეშმარიტებით გვწერენ, რომ ბელაქნის მცხოვრებლებს, რომლებიც შთამომავლობით ქართველნი არიან, ხოლო სარწმუნოებით-კი მაჰმადიანნი, გ. გალაჯოვის (ვაჩნაძის) ჩაგონებითა და რჩევით, მიუმართავთ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოებისათვის, საქართველოს ეგზარხოს პალადისათვის, და უთხოვნიათ, რომ მღვდელი დაგვინიშნეთ და ეკკლესია აგვიშენეთ, რადგანაც სურვილი გვაქვს მამა-პაპის სარწმუნოებას დავუბრუნდეთო. მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას სრულის თანაგრძნობით მიუღია იმათი სურვილი და უბრძანებია, რომ თქვენი თხოვნა შეწყნარებული იქნებაო.

*** ქ. პიატიგორსკი: რაც შეეხება აქაურს ამინდებს, ეხლა მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა. ღვთით ძლივს-ძლივობით დაგვიწყნარდა ცა და ღრუბელი და ამ ივნისის თთვემ რიგიანი ტაროსები დაიჭირა, თორემ თქვენს მტერს, როგორც ჩვენ წარსულმა თთვეებმა, აპრილმა და მაისმა, შეგვაწუხა თავისის ცუდის ამინდებით. ამ ივნისის თთვის რიგიანის ამინდების გამო დიდ-ძალი ხალხი მოვიდა საზაფხულოდ სხვა-და-სხვა ადგილებიდგან, — ზოგი აქაურს მადნეულების წყლებში საბანებლად და ზოგიც ისე, დროს გასატარებლად. წარსულს წლებთან შედარებით წელს უფრო მომეტებულის კურსის იმედი აქვსთ აქაურებს; ჯერ-ჯერობით დღევანდლამდის ორი ათას ხუთასამდე კაცი მოსულა სხვა-და სხვა ადგილებიდგან. დაიწყო კურსი და გაიხარეს ნამეტნავად აქაურმა მოვაჭრეებმა.

პიატიგორსკში დიდი ხანია, რაც ხმა იყო და მოელოდნენ კიდეც, რომ აქაურის ოლქის უფროსის მაგიერ, ბ-ნი ატამანი უნდა გაამწესონო; როგორც პიატიგორსკისა, აგრეთვე აქაურის სტანიცების ბოქაულებიც ახლები უნდა დანიშნონო. ეს მოლოდინიც შეგვისრულდა. ოლქის უფროსი ბ-ნი რ—ნსკი გადაიყვანეს აქედგან ქუთაისისაკენ; ამასთანავე ორი ადგილობრივი ბოქაული და ოთხიც სტანიცებისა გამოსცვალეს და სულ ახლები დანიშნეს. 27 ივნისს აქაურმა მოხელეებმა გაუმართეს სადილი ბ-ნს ოლქის უფროსს. ამ დღეებში ბ-ნს ატამანს მოელიან. ვნახოთ, ეს ახალი კაცები რა სიკეთეს მოგვიტანენ. იქნება ქალაქი მაინც გაასუფთაონ და გაამშვენიერონ. ეხლა-კი კაცს არ ენახვება აქაური ბაზრები და ქუჩები. პირველი, რომ დიდი უსუფთაობა და უწმინდურება ჰსუფევს ქუჩებში; ქუჩებს ჯანი გავარდეთ, ნეტავ თქვენის სიცოცხლით შიგ დუქნებში მაინც სუფთაობა და წესიერება იყოს. ნამეტნავად ყასბების დუქნებში დიდი უსუფთაობაა და უწესოება. არც „სანიტარული კომისია“ გვყავს და არც ქალაქი ადევნებს თვალ-ყურს წესიერებას. ან-კი რა უნდა გაარიგოს გამგეობამ, როდესაც თვით ქალაქის თავი ოთხის საყასბო დუქნის პატრონია და მუდმივ აქა ტრიალებს.

ერთი უმთავრესი ნაკლულევანება ესა სჭირთ აქაურს მოვაჭრეებს, რომ თუ დილის სამის საათიდგან დილის შვიდ საათამდე არა იყიდეთ-რა, შემდეგ სრულიად ველარასფერს იშოვნით; და თუ როგორმე იშოვნეთ, ერთი სამად და ოთხად გადაგახდევინებენ, რადგანაც ჩარჩები საჩქაროდ ყიდულობენ აქაურის სტანიცებიდგან შემოტანილს საქონელსა.

*** „Новости“ გვატყობინებს, რომ ამ დღეებში მინისტრთა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტი, რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ხიზნებს მიწა-წყალი მიეზომოს და მიეცესო.

*** ამ ჟამად პეტერბურგის სხვა-და-სხვა უმაღლესს და სპეციალურს სასწავლებელში 118 სომეხი სწავლობს. ამათგან 27 უნივერსიტეტშია, 16 ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში, 23 საინჟენერო სასწავლებლებში, 2 სატყეო ინსტიტუტში, 7 სამედიცინო აკადემიაში, 5 სამხატვრო აკადემიაში და დანარჩენებიც სხვა-და-სხვა სამხედრო, სამხატვრო და სამუსიკო სასწავლებელში სწავლობენ. („Н. В.“)

*** მეხუთე განყოფილებაში, ოთხს ივლისს, ღამით, ლობჯანიძის დუქანში მოსამსახურენი ვასო აბაშიძე და ალექსანდრე ორდანიძე წაიჩხუბნენ და აბაშიძემ დანით დასჭრა მუხლში თავისი ამხანაგი. პოლიციის დაუკითხავად დაჭრილი გაჰგზავნეს საავადმყოფოში.

*** 4-ს ივლისს, ღამის თერთმეტს საათზე, ტფილისის მცხოვრების ანდრია კრასოვსკის სადგურის წინ ვიღაცას მიუგდია ყმაწვილი-ვაჟი, რომელიც ერთის თვისა უნდა იყოს. ყმაწვილი გაჰგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

*** 5-ს ივლისს, ღამით, მეექვსე განყოფილებაში, ტფილისის მოქალაქის ფარამაზ თოფჩიბაშვის სადგომიდგან მოიპარეს სხვა-და-სხვა ნივთი სულ 249 მან. და 33 კაპ. გამომძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქ. გორი. უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, ამბობს ქართული

---

რო ყურძნი ქურდი ქურდათ ჩაითვალოს! ხილს რო პირი ჰქონდეს, თავი თავს თითონ შაჰჭამს, და ღამი მეხრემ და მეძროხემ რო ყურძენი არ მოიპაროს, რაღა...

— ყურძნის მოპარვა-კი შეეძლო საწყალს?

— მე მკითხოთ, როგორ იყო! — წამოიძახა ერთმა ყმაწვილმა ბიჭმა: — საწყალ ზურიას გემოთაც არ უნახამ მაშინ ყურძენი. აი როგორ იყო: საღამოთი ძროხა ძეძველებზე შამოვაყოლეთ. ბინაზე რო მოვრეკეთ და დავათვალიერეთ, ნინიამ თქვა: „ნიშა დეკეული მაკლიაო“. ი დასაქცევი არ წავიდა მოსანახათ. „სა წავაო, სანდროს შავალოცინეფო და ფიქრიც არ არიო“. დავაცადე — და, ი საწყალმა ზურიამაც დამძლარი გუთნი-ხარი ჩვენ ბინაზე მორეკა, რადგანიაცა ამხანაგი შინ დაჰთხოვნოდა. მემრე ბიჭებმა ვთქვით: მოდი ერთი ბატონიანთ ზვარს ვეცნეთო და გუდები გავვებოთო. საწყალმა ზურიამ ბევრი გვიშალა, ნუ წახვალთ, აიქ საფთხეში არაში ჩაჰცვივდეთო. მაგრამ არ დავიშალეთ, ავდექით ხუთი ბიჭი დაწავედით. მე და ნინია მივიპარენით ქოხთანა. დაჭყლეტილი მტევნები მუჰაში გვეჭირა მომზადებული, რო თუ გამოსულიყვენენ მეზვრეები ქოხიდამ, თვალებში უნდა გვესროლნა, მაგრამ იჰ დალოცვილები ისეთ ღრმა ძილში იყვნენ, რო ფეხიც არ გაუქნევიათ. ბიჭებს გუდები გვეჭედნათ და ახლა ჩოხი-კალთები გვეწვერნათ. როცა ბინაზე მოვედით, ზურიას ხარი იქ აღარ ჰყვანდა, ეეშალნა და გვერეკნა. მეორე დღეს ნინია წავიდა მოსანახათ და მგლისაგან გაღეღილ დეკეულს-კი მიადგა. მასკვანიათა, არ ვიცი, როგორ გაეგო გზირს, რო ჩვენ იმ ღამეს ყურძნის მოსაპარათ ვიყავით, მაგრამ გუმანი-კი სვიმონაზე მივიტანეთ — იმან დაგვაბეზღა გზირთანა. გზირიც წასულიყო და ჩეეკენჭნა ბატონისათვინ. დაგვიბარა ბატონმა ყველა მეძროხეები და ი საწყალი ზურიაც. ჩვენ ბიჭებს სამ-სამი, ოთხ-ოთხი სახრე გადაგვაწნეს მხრებზე და ი საცოდავი ზურია-კი წააქცევინა და სუ გვეღიავით გაატრელებინა როზგით: „მე დიდი ხანია შენი ჯავრი მჭირსო“. საწყალმა ბევრი იყვირა: „მე არა ვარ დამნაშავეო“, მაგრამ ბატონი ეძახოდა: „დაჰკარითო, მოღალატე ყმას ე მაგრე უნდაო!“ ვეჰოფ, განაყოფის დაბეზღებული იყო, რო ისე ბოლმამ გახეთქა. სუ იმას იძახოდა: „დედა ვაცხონე და მამა გზირისა, რო იმან შენი თავი ხელში ჩამიგდოვო“.

— აი ნუ დაულიოს იმისი ცოლ-შვილის ცოდო, როგორც ისინი ეხლა ყელ-გამოჭრილები დარჩნენ.

— ეგ სახ-კარ დაქცეული, ეგა, რვერთ ნავნებსა შვრება?! — წამოიძახა ნინიას ძმამ. — ჩვენ არ ვარგივართ, თორე ეგ აქამდინ აქ უნდა ბოგინობდეს! ხო გვაზღვევინა მაგ სახ-კარ დაღუპილმა, რილაჰთვინ აბიზღებდა, რო ერთი კომლი კაცი სოფელსაც დაუკარგა და ბატონსაც.

ეს სიტყვები წარმოსთქვა დაბალის ხმით, რადგანაც კრებული მოვიდა სასოფლოზედ. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, ქუდები მოიხადეს და მიჰმართეს მღვდელს: „შენდაო, ბატონო!“ პასუხად კრებულმა უთხრა: „გაკურთხა ღმერთმანო“, და დაუმატა, „ნეტავი ემაგრე ერთგულად ეკკლესიაში იარებოდეთ!“

— შე დალოცვილო, აღდგომას აქათია, ორჯელ არ გიწირამ და ეკკლესიაში რიჰთვინ ვიაროთ! — მიუგო ერთმა

— არავინ-კი იარება და ვის უწირო?

— არ ვიარებით და აკი ღმერთიც იმიჰთვინ გვახდევინებს! — თქვა ერთმა მოხუცებულმა.

— რას ამობ, თევდორე? დავდღეართ, თუ არა, მაგას რა დავა აქვ! ჯამაგირს იმიჰთვინ ვაძლევთ, რო ღმერთს ჩვენ მაგივრად შეეხვეწოს და მოსავალი მოგვცვაროს, თორე ი ჩანახ ნიტრას რო მაიტანს, საიდამ უნდა აუწყოთ კოდი პური? ე ცა და ღრუბელი რო შაიკრა და ერთი ბეწო ნამი აღარ გვეღირსა, მაგისი ბრალი არ არი, რო ილოცოს და წვიმა მაიყვანოს? — წამოიძახა ნინიას ძმამ.

— აი, მეხი-კი დაგეცა მაგ წვინტლიანს თავზედ! ცა და ღრუბელი რამ შაკრა? — თქვენმა ცოდომ შაკრა: ღვთისა თქვენ აღარ გეშინიანთ და მღვდლისა, ერისა და ბერისა. კვირა დღე თქვენ არ გაგაჩნიათ და უქმე.

— სალმთოები ხო დავიწებას მიეცით და აღარას აჩემებთ! — თქვა ციმფამ.

— სალმთოები-კი არას დაგვავიწყდება, მაგრამ.... იმ კვირია ვაპირობთ, — დაამშვიდა ერთმა ციმფა.

— გვალვა-კი არა, მე მიკვირს, რომ ღმერთი მარტო ამას გაკმარებთ და ცეცხლს არ მოუდებს ქვეყანას! ვის გაუგონია, რომ მართლ-მადიდებელმა ქრისტიანემ იოანნე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს გუთანი შააბას და ხნას? განა იმ ნახნავში უნდა გასტყვრეს რამე? ცოტაც არის თქვენთვის ეს სასჯელი ღვთისა!

— ლედელო, ე ღმერთ ქვეშ ნუ გვაგდებ, თორე... — უთხრა ისევ ნინიას ძმამ.

— თორე, სკუფია-კი არ გამიბრუნო უკან!

— ვისი ბრალია, ლედელო, რო კვირა-უქმე დღესა ვტეხამთ? ი ზარი რიჰთვინა ჰკიდია, იმიჰთვინ არა ჰკიდია, რო კვირა-უქმე დღე შაგვატყობინოთ? რატო არ გვირეკავთ, როცა უქმეა? — წარმოსთქვა კიდევ სხვამ.

— ე! ბიჭ-ბუჭებს რა ყურს უგდებ, ბატონო! უთხრა მღვდელს ერთმა ხანში შესულმა კაცმა: — ვერც არავინ სკუფიას გაგიბრუნებს და ვერცა!.. შენ ერთი ეს სიკეთე გვიყავი, რომ ერთს კვირა დღეს გამოზძანდი სასოფლოზე და კვირა-უქმე დღე შევკრათ ისე, რომ ველარავის შეეძლოს მუშაობა. და თუ გასტეხამს ვინმე, ისე დავარბიოთ, რომ სიკვდილამდინ ახსოვდეს.

— მაგაზე ადვილი რა არის: თუნდა დღესვე დავწეროთ. აი ცხედარს დავასაფლავებთ, გამოვიელი, დავწეროთ ერთი მაგარი ქაღალდი, შავაჩვენოთ ღვთის პირით, ვინც იმუშაოს და კიდეც დაირბეს, — სთქვა ესა და შეუდგა ისევ თავისს გზას კრებული.

— ისე გვიყავ, შენი ჭირიმე, ისე! მიაძახა რამდენმამე.

ცოტა ხნის შემდეგ ერთის პატარა წნულის სახლიდგან გამოასვენეს ცხედარი შეუმოსავის კუბოთი. ცხედარს გამოჰყვა თხუთმეტიოდე მანდილში გახვეული დედაკაცი. ორი დედაკაცი ამოსჯდომოდა მხრებში ჭირისუფალს — გარდაცვალებულის ქვრივს, რომელიც „ზარით“ მოტირალთ არ აქცევდა ყურადღებას და, რაც ხმა გაუწვდებოდა, გაჰკიოდა: „სად მიხვალ, რო მიჰდიხარ, შე უღმერთოვ!.. ვის ამწყრალებ შენს საცოდავს ცოლშვილს!.. ვინ უნდა უგდოს ყური და უპატრონოს შენს პატარა ილიას!“

ჭირისუფლის ხმა იცნო ერთმა პატარა ოთხი-ხუთის წლის ბავშმა, რომელიც იქამდის იჯდა პერანგა, ფეხ-შიშველა და თავ-შიშველა თავის ტოლებთან და ხუხულას აკეთებდა. დაანება თავი ხუხულას კეთებას და გაექანა იქით, საითაც ცხედარი მიჰქონდათ, ყვირილით: „ვაიმე, დედიო!.. ცად მიქვალ, ეი!?.“

მზე კარგად იყო გადახრილი, როცა კრებულმა გამოიარა სასოფლოზედ, სადაც ერთი კაციც აღარ იპოვებოდა. აღარც-კი მღვდელს მოჰგონებია ქაღალდის დაწერა. მნათე ოხუნჯობდა ჩვეულებისამებრ, დანარჩენნი-კი გულიანად ხარხარებდნენ.

(შემდეგი იქნება)

ანდაზა. სწორედ ამ უბედურის კაცის საქმე მოსდის ხოლმე ხშირად ჩვენ სალოდავს გორსა! ჭორიკანაობით გორმა ხომ სახელი გაითქვა მთელს საქართველოში, და მართლაც რომ გასაოცარია აქაური ჭორი, აქაური მეჭორე! ბრალი თქვენი, თუ რომ სადმე და როგორმე ფეხი წინ წასდგით და მიიქციეთ საზოგადოების ყურადღება! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იმავე წამს რომელიმე გალამაზებული თხუნელა გამოატყვრენს რაიმე საძაგლობას თქვენ შესახებ და მელურის გაძრომ-გამოძრომით მეორე დღესვე მოჰფენს მთელს ქალაქში. აყაყანდება მთელი ნაძირალი საზოგადოებისა, გაჩნდება მითქმა-მოთქმა და, უცებ, სრულიად უდანაშაულო კაცი ხდები თითითა და თვალით საჩვენებელი!.. უბედურება კიდევ ის არის, რომ ვერსაიდამ ვერ მოუვლი, ხელს ვერ წაავლებ ჭორსა და იმის ღირსეულს მოციქულს; ამიტომ ძალა-უნებურად უნდა ენა დაიდუმო და მოთმინებით უცადო იმ დროს, როდესაც თქვენზედ ყაყანი მოჰბეზრდებათ და თავიანთ მსხვერპლად ახლა სხვას ამოირჩევენ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ ბოლო ჟამს არც იმ მდუმარებით კმაყოფილდებიან. განათლებულმა მეჭორეებმა ახლა სხვა გვარი საშუალება მოიგონეს ადამიანის შეურაცხყოფისათვის. მოვა შენთან რომელიმე სულ ნამცეცა არსება და იგავ-არაკულად მოგიყვება ვითომ სხვაზედ ლაპარაკს. ნიშანში-კი, იცი, შენა ჰყევხარ ამოღებული!.. რა უნდა უყო ამისთანა კაცუნას, რომელიც სალოდავ კურდღლის ბაჭიასავით შემძვრალა ბუჩქის ძირას და იქიდამ გულის ცახცახით ისვრის შენსკენ პაწაწკინა კენჭებს!.. ან უნდა გამოილო თავი და ამ თავ დამალულს სირაქლემას გუდა-ნაბადი ზედ წამოაკეცო; ან არა-და, აარიდო აქაც ყური და მწარე ღიმილით გამოჰხატო შენი შეხედულობა იმაზედ.

მაგრამ მარტო ეს ერთი გარემოება რომ აწუხებდეს კაცსა, კიდევ არაფერი! საქმე იმაშია, რომ ამას ზედ ერთვის მრავალი გულის ამამღვრეველი გარემოება და ამის გამო გამოუთქმელი სევდა-ვარამით გევსებათ სული და გული. აქაურს ზოგიერთა მოხელეებს თავიანთი თავი ძველი სპარსეთის სატრაპები ჰგონიათ და ხშირად ისე იქცევიან, თითქო იმათ გარეშემო მათი ყურ-მოჭრილი ყმები სცხოვრობდნენო... წარსულს თვეებში ერთი კაი ოჯახის მანდილოსანი ლოგინად დაწვა. მშობიარობის დროს ბებიას საქმე გაუჭირდა და გაგზავნა ერთს აქაურს ექიმთან კაცი. ბ-ნმა ექიმმა ცივი უარი შემოუთვალა. ქალი შესწუხდა, გაგზავნეს კიდევ კაცი, მაგრამ ექიმბაში მაინც არ შეიძრა. . ბოლოს, როდესაც მეტის-მეტად შესწუხდა მელოგინე, თვით ბებია მიეჭრა ექიმს და რის ვაივაგლახით, თხოვნითა და მუქარით ძლივ-ძლივობისას წამოიყვანა!.. რამდენისამე დღის შემდეგ მოხდა კიდევ ამ გვარივე შემთხვევა. ქალი შესწუხდა... ბებია შეშინდა და გაგზავნა კაცი იქვე ახლო მცხოვრებს ექიმთან. ქალი მეტად შეწუხებულია და გთხოვთ მობრძანდეთო!.. მოახსენეს მკურნალს, მაგრამ იმან ლარბაისლური შეხედულობა მიიღო, სალოკი თითი მიუშვირა მთხოვნელს და უთხრა: აი თითი მტკივა, ხომ ხედავ, შეხვეული მაქვს... ვერ წამოვალ... მთხოვნელი პირველად თურმე შეკრთა. იმას ეგონა, რომ ბ-ნი ესკულაპი მეხუმრებაო, მაგრამ როდესაც შეატყო, რომ მკურნალი არა ხუმრობდა, მიმართა კიდევ: თქვენი იქ ყოფნა მეტად საჭიროა, უთქვენოდ ბებია რაიმე ენერგიულს საშუალებას ვერა ხმარობს... ვთხოვთ წამობრძანდეთ!.. ხომ მოგეხსენებათ, სულ ორი ნაბიჯია აქედამ ჩვენამდისინ... „არ შემიძლიან, არა... თუ გინდათ, მოიქეცით ასე: წადით სხვა ექიმებთან და თუ რომელიმე მათგანი არ მოვა, წამოვალ მაშინა... ბრძანა ექიმმა... საჭიროა მკითხველმა იცოდეს, რომ ეს სხვა ექიმები ყველანი ქალაქის განაპირა უბნებში სცხოვრებენ და იმათთან წასვლა შუა ქალაქიდამ, გაჭირების ჟამს, ადვილად შეიძლება ავადმყოფის უბედურებით გათავდეს... ჩვენი სატრაპ-ექიმბაში ამას ყურადღებას არ აქცევს... ვინ იცის!.. იქნება ჰგონია, რომ უდროვოდ აბრაამის წიაღსა შინა განსვენება ვისთვისმე სანატრელი იყოს და ამიტომ, როგორადაც კაცთ-მოყვარე ადამიანი, ესეც ხელს უმართავს იმას!.. სწორედ ამ გვარის კაცთ-მოყვარეობით უნდა აიხსნას ის შემაძრწუნებელი გულ-ცივობა, ანუ უკეთ, უსულობა, რომელიც გამოიჩინა ამ ორიოდე კვირის წინად ერთმა აქაურმავე ექიმმა... ექიმბაში ბანქოს თამაშობდა. ორჯელ ზედი-ზედ მოუვიდა კაცი ავადმყოფის მშობლებისაგან, რომელიც თავისთან მიბრძანებასა სთხოვდნენ, რადგან თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ვაჟიშვილი უკვდებოდათ... ექიმმა ზედაც არ შეხედა, არ დასძრა თავისი ლეში და ურცხვად ზურგი შეაქცია თავისს პირდაპირს ზეციურს მოვალეობას... რამდენისამე დღის შემდეგ ყმაწვილი გარდაიცვალა... ოჰ, შე ოხერო, შე ბრმა-უტვინო სიკვდილო!.. რა უხეიროდ, რა უგზო-უკვლოდ იცი მომეტებულს ნაწილად ფეხების ფრატუნი და ხეტიალი?!!

ამ გვარ ეაქბატონს ესკულაპებს ზევრით არაფრით ჩამოუვარდებიან ზოგიერთი ჩვენებური პედაგოგებიც. . არის აქ ერთი სასწავლებელი, რომლის მოწაფეთა ცხოვრება სწორედ ღვთის ანაბარას არის მიგდებული. სკოლის გარეშე იმათი თვალ-ყურის მჭერელი არავინ არის, რის გამოც ხშირად შეხვდები მთელს იმათ გროვას, რომელიც, რომელსამე განაპირა დუქანში, ნახევარ თუნგს შემოსხდომია, მღერის უწმაწურს ლექსებს და გასალახანებულ მედუქნეს ელაზღანდარავება. ადვილი გამოსაცნობია, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამ გვარს ცხოვრებას!.. ვინ უნდა იყოს ამაში დამნაშავე? მოკლე ჭკუის კაცი, რასაკვირველია, შეგირდებს გაამტყუნებს და, თუ იმათ რაიმე დანაშაული შეამჩნია, მაშინვე „პროტოკოლს“ შეუდგენს და დააყენებს იმ გზაზე, რომელიც პირდაპირ ავაზაკობისა და ათას ნაირ ავ-ზნეობის სამფლობელოსკენ მიდის... როგორც გვითხრეს, რამდენისამე თვეის განმავლობაში ამ სასწავლებლიდამ ექვსი შეგირდი გამორიცხეს სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვისაო... მე-კი რომ მკითხოთ, სასჯელის ღირსნი შეგირდები-კი არ არიან, არამედ პირველად ისინი, რომელნიც ვალდებულნი არიან, რომ თვალ ყური ადევნონ თავიანთს სულიერ შვილებს სკოლის გარედაც; და, მეორედ, შეგირდების სახლის პატრონები, რომელთაც ფულების ჩაჩხრიალება უფრო ეადვილებათ, ვიდრე იმ აზრის შეგნება, რომ სხვის შვილს დიდი ვაფრთხილება, მზრუნველობა და მოვლა უნდა!.. მაგრამ რას მიქვიან ყველა ესენი?.. ჩაიბარებენ ანგელოზივით უმანკო ბავშვებს, უსინდისოდ ჰყვლეფენ იმათს საბრალო დედ-მამას და ბოლოს გაცულუტებულ, გაქსუებულ კონტუშკეებს მიუგდებენ ხოლმე შინა!.. დაფიქრდით, ჩემო ბატონო, დაფიქრდით! . თქვენი პირადი სარგებლობა მაინც იქონიეთ მარად სახეში, თუ ღვთისა აღარ გეშინიათ და კაცისა აღარა გრცხვენიანთ!..

ვინც უნდა ვიყვე.

# უცხოეთი

**სერბია.** როგორც სერბიის მმართველობასა და საზოგადოებას, ისე სხვა-და-სხვა ქვეყნის მწერლობასაც დიდი სჯა და ბაასი აქვსთ იმ უთანხმოებისა და უსიამოვნობის გამო, რომელიც სერბიის სამეფო სახლში ჩამოვარდა. დღეს ყველა იმაზე ლაპარაკობს, თუ ვისთვის მოინდომა მეფე მილანმა განქორწილება დედოფალ ნატალიასთან, ვინ არის დამნაშავე ამ საქმეში—მეფე თუ დედოფალიო. სერბიის სამღვდელოება მზად არის განაქორწინოს მეფე და დედოფალი, თუ რომ ეს უკანასკნელი არ დასთანხმდა მილანის პირობაზე. ამ გვარის განხეთქილების მიზეზად ასახელებენ უფრო სხვა-და-სხვა პოლიტიკურს გარემოებას. მეფე მილანი ავსტრიის პოლიტიკის მომხრედ ითვლება; იმის შემწეობით ავსტრიის გავლენა და ზედმოქმედება თან-და-თან ძლიერდება არა მარტო სერბიაში, არამედ მთელს ბალკანის ნახევარს კუნძულზედაც. ეს-კი რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგია, რადგანაც რუსეთს განზრახვა და აზრი ჰქონდა ბალკანის სლავიანებისათვის დაემკვიდრებინა თავისუფლება. დედოფალი ნატალია ტომით რუსია და ამიტომ სულითა და გულით რუსეთის მომხრეა და, მაშასადამე, მილანის პოლიტიკის წინააღდეგია. ამ გარემოებამა და სხვამაც დაჰბადა განხეთქილება ცოლ-ქმარს შუა და აი სად არის იმის მიზეზი, რომ დღეს მაგდენი ლაპარაკია მწერლობაში ამ საგნის შესახებ. რუსეთის მწერლობა თითქმის ერთ-ხმად ამართლებს ნატალიას და ბრალსა სდებს მილანს. გაზეთი «Новое Время» ამბობს, რომ სერბიის სამღვდელოებას ნება არა აქვს ესე დაუფიქრებლად მოეკიდოს საქმეს და მეფე და დედოფალი განაქორწილოსო.

სხვა-და-სხვა სახელმწიფოს საბუთი არა აქვს ჩაერიოს ამ საქმეში და ერთისა და ან მეორის მხარე დაიჭიროს, მაგრამ უეჭველია, რომ ფარულად-კი ეცდებიან, რათა ეს გარემოება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. ამბობენ, რომ თვით სერბიაში ძალიანა სწყინთ მილანის საქციელი და ყველა დიდის თანაგრძნობითა და სიყვარულით იხსენიებს ნატალიასაო. ხმა დადის, ვითომ სერბიის ჯარებში დიდი უსიამოვნება გამოუწვევია მილანის საქციელს და შესაძლოა ჯარებმაც მონაწილეობა მიიღონ მეფისა და დედოფლის საქმეშიო. მილანი ძალიან შეუშინებია ამ ამბავს და ზოგიერთი საეჭვო აფიცრები ბელგრადიდგან სხვა ადგილებში გადაუყვანია.

**ავსტრია.** ავსტრო-უნგრიის მწერლობა ბევრსა ლაპარაკობს იმაზე, თუ რა შედეგი ექნება რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების დამეგობრებას. ვილჰელმის რუსეთში წასვლას ძალიან შეუწუხებია ავსტრიელები. ავსტრია არა ჰფიქრობდა, რომ როდისმე გერმანია რუსეთს დაუახლოვდებოდა, და ეხლა რაკი რუსეთი და გერმანია ერთმანეთს ხელს გაუწვდიან, მაშინ ან ავსტრიამა და ან რუსეთმა უნდა შეიცვალონ თავისი პოლიტიკა ბალკანის ნახევარს კუნძულზეო. დარწმუნებით-კი არავინ იცის, თუ ვინ უნდა გასწიროს თავისი პოლიტიკა. რუსეთის გაზეთები ამ ამბავს ძალიან დაუფიქრებია. „Новое Время“ ეჭვით უყურებს ახალს მიმდინარეობას პოლიტიკისას, რომელსაც არ შეუძლიან უარ ჰყოს ნაანდერძევი ძველის პოლიტიკისაო. ზოგს ავსტრიელს გაზეთს იმედი აქვს, რომ გერმანია არ გასწირავს ავსტრიას და თავისს მოსარჩლეობასა და მომხრეობას არ მოაკლებსო. „Новое Время“ ამბობს, რომ ამით ავსტრიის მწერლობა ამცირებს იმპერატორის ვილჰელმის სიტყვის მნიშვნელობას. ვილჰელმმა საქვეყნოდ აღიარა, რომ მშვიდობიანობა უნდა დავიცვათ ევროპაში და მეგობრობა უნდა განმტკიცდეს სახელმწიფოთა შორისო; ავსტრიელს გაზეთს-კი თუ დავუჯერეთ, მაშინ ვილჰელმმა თავისი სიტყვა უნდა გარდასთქვასო.

# წვრილი ამბები

ახლად დაქვრივებულ იმპერატრიცა ვიქტორიასათვის მიურთმევიათ ახირებული მუსიკალური პიესა, რომელსაც ეწოდება „სამეფო ია“ (Das Kaiser Veilchen-ი). მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ განსვენებულ იმპერატორს ფრიდრიხს ძალიან უყვარდა თურმე ია. ამის სახსოვრად კომპოზიტორს შნედერს დაუწერია თავისი პიესა. ამ პიესის ახირებულობა განსაკუთრებით ნოტების აღნიშვნაში გამოიხატება. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ია გაუხმია კომპოზიტორს, დაუჭრია ნიშნებად და დაუკრავს წმინდა მავთულებზედ, რომელიც ნოტის ხაზებს წარმოადგენს, ასე რომ „სამეფო ია“ პიესას დაკვრის დროს იათი აღნიშნულს ნიშნებს უნდა ადევნოთ თვალ-ყური. იმპერატრიცას ძალიან მოსწონებია ეს საჩუქარი, ხოლო განსვენებულის იმპერატორის მახლობელთ-კი დიდი ფული შეუძლევიათ შნეიდერისათვის, რომ რამდენიმე გააკეთე მაგისთანა იის ნოტაო. შნეიდერს უარი უთქვამს და გამოუცხადებია, რომ „მაგისთანა რამე ფულითა და ფულის გულისთვის არ გავაკეთებო“. ნოტა სულ ოთხის ფურცლისაგან შესდგება. ამ საქმეზედ კომპოზიტორს სრული ორი თვე უმუშავნია.

— ჰამბურგის ორკესტრის ხელმძღვანელს და უფროსს აშერს საკვირველი აზრი მოსვლია. განუზრახავს ბისმარკის მიერ პარლამენტში წარმოთქმულის სიტყვების მუსიკაზედ გადაღება. აშერს ერთი სიტყვა რკინის კანცლერისა უკვე გადაუღია და დაუბეჭდია კიდეც ამას წინად ჰამბურგში. მუსიკალურს პიესასა ჰქვიან „Des Kanzlers Worte“. ამავ ბისმარკის პატივსაცემლად კომპოზიტორს დაუწერია „ბისმარკის ჰიმნი“.

— ბერლინის გაზეთი «Börsen Courier“-ი ამბობს, რომ თითოეული გერმანელი წელიწადში ორასიდგან ას ოთხმოც-და-ათამდე ლიტრა ლუდსა სვამსო. ბავარიაში-კი კაცის თავზე წლიურად 556 ლიტრამდე ლუდი იხარჯება. დანარჩენს სახელმწიფოებში შედარებით უფრო ცოტა იხარჯება და ლუდის სმა არ არის თურმე გავრცელებული. მაგალითებრ, უნგრიაში კაცის თავზე წელიწადში $4\frac{1}{2}$ ლიტრა იხარჯება. ასე ცოტად ლუდის ხმარებას იმითი აიხსნება, რომ უნგრიაში ღვინის სმა უფრო გავრცელებულია. რუსეთში ადამიანი 5 ლიტრას ჰხარჯავს წლიურად, რადგან მდაბიო ხალხი უმეტესად უფრო არაყს ჰსვამს. ინგლისელი ორთა შუა რიცხვით ოც-და-ხუთჯერ მეტსა ჰსვამს რუსზე, სახელდობრ 125 ლიტრას წელიწადში. ბელგიაში კაცის თავზე 166 ლიტრა ლუდი მზადდება, რაც აშკარად ამტკიცებს, რომ ბელგიის მუშა ხალხს არაყი არ უყვარს. საფრანგეთში თითო ადამიანზე 31 ლიტრა იხარჯება. იტალიაში კაცის თავზე წელიწადში სულ 4 ლიტრა მოდის. ამ ამბავიდგან აშკარად სჩანს, რომ ღვინით განებივრებული იტალიელი ზიზღით უყურებს ლუდსა. ისპანიაში, ამ ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში, თითქმის რომ სულ არა ჰსმარობენ ლუდსა. აღმოსავლეთში აქამდე მეტად მაგარს ყავასა სვამენ და ამიტომ ლუდზე გული არ მიუწევთ. მაინც კიდევ იმედია, რომ დროებით იქაც გავრცელდება და ღირსებისამებრ იქმნება დაფასებული ლუდი.

— კანნს ახლო ექვსის თვეის ყმაწვილი აკვანში წოლილა, დასცემია არწივი, ჩაუვლია კლანჭები და აუტაცნია ჰაერში. ეს გარემოება შემთხვევით შეუნიშნავს ყმაწვილის მამას, რომელიც იქვე მინდორზედა მუშაობდა თურმე, საბედნიეროდ, თოფიც იქვე ჰქონია, დაუმიზნნია და უსროლნია. არწივი ჰაერში დატრიალებულა და ბოლოს ტყვია-მოხვედრილი იქვე დაცემულა მოტაცებულ ყმაწვილითურთ. ყმაწვილი ისე კარგად დაპარდნილა, რომ არა დაშავებია-რა, არა სტკენია რა. არწივს-კი დაცემისათანავე სული დაულევია და გლეხს შინ წაუღია.

— ინგლისის მესაათებმა ერთს საოცარს საათს აკეთებენ თურმე ეხლა, რომლისთანაც ჯერ ქვეყნის პირზედ არსად მოიპოვება. საქმე იმაში გახლავსთ, რომ საათში დრო, ნიშნებით-კი არა, ადამიანის სახით იქმნება ნაჩვენები. მაგალითებრ, საათზე დანიშნულს დროს გამოჩნდებიან ხოლმე დედა და შვილი სხვა და-სხვა სახით. დილის პირველს საათზედ გამოჩნდება დედაკაცი და მკლავზე ჩვრებში გახვეული ყმაწვილი ეჭირება; ორს საათზედ—დედაკაცს იგივე ყმაწვილი ეჭირება, ხოლო უფრო მოზრდილი; სამზედ—ყმაწვილი, აყვანილი-კი არა, ხელ-ხელს ჩაკიდებული ეყოლება. რვა საათამდე ასე იზრდება ცოტ-ცოტა ყმაწვილი. ცხრა საათზედ ყმაწვილი უკვე სტუდენტურად არის ჩაცმული და გვერდით უდგა მოხუცი დედა, რომელიც ღიმილით შესცქერის შვილსა. ათს საათზედ დედის სიკვდილია გამოყვანილი და თვალებცრემლიანი შვილი ეთხოვება და ემშვიდობება საყვარელს დედას. თერთმეტ საათზედ ყმაწვილი კაცი შუახანს არის მიღწეული, ხოლო თორმეტზედ-კი მოხუცებულია, წელში მოხრილი, სამწუხარო წარმომადგენელია საბრალო კაცობრიობისა.

— ბაქოში სცხოვრობს თურმე ერთი მეტად ჯან-საღი და ძალიან ღონიერი დედაკაცი, რომელიც ას ოთხმოცის წლისაა. ბებერი დედაკაცი რძისა და კარტოფილის მეტს არას სჭამს. სპირ-

ტეულსა და არაყეულს არას დროს არ მიჰკარებია, ხოლო ეხლა ბურნუთსა სწევს ხოლმე. მოსუცებულს დედაკაცს მსედველობა ერთი ბეწოდაც არა აქვს დაკარგული, უსათვალეებოდა კითხულობს, მაგრამ მილით-კი ძალიან ცოტა სმინავს თურმე.

## გასართობი

დღეს ერთს ნიმუშს მოგუთხრობთ მკითხველებს ავსტრიის ძველის ცენზურის ცელქობისას. სასაცილო ამბავი მოსვლია არტისტს ლიუდვიგ ბარნეიმს. არტისტი მისულა გრაიციდგან ქალაქს კრაინი ლაიბაცში. თავისის მეორე დებიუტისათვის არტისტს უნდოდა „ფაუსტი“ წარმოედგინა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ აღკრძალული იყო, და ამ განზრახვით წავიდა თურმე მთავარმართებელ ბარონ ფონ-ც—სთან. ეს კაცი ძველის კეთილშობილის გვარისა იყო და ამასთან ყოვლად გაუნათლებელი და გულკეთილი. ბარონმა არტისტი დიდის პატივით მიიღო და უთხრა:

— გუშინა გნახეთ, ყოჩაღ, დიდება და სახელი თქვენისთანა ნიჭიერთ! რა გნებავთ, რისთვის გარჯილხართ?

— უნდა შევაწუხო თქვენი აღმატებულება და გთხოვოთ, რომ ნება დამრთოთ, რათა „ფაუსტი“ წარმოვადგინო.

— ფაუსტი? რა პიესაა ეგ ფაუსტი?

— გეტეს თხზულება გახლავსთ, თქვენო აღმატებულებავ.

— გეტე, გეტე!.. ვინ არის ეგ გეტე, რა კაცია?

— იოჰან ვოლფგანგ ფონ-გეტე გახლავსთ გერმანიის დიდებული პოეტი და გეიმარის სადიდ-ჰერცოგოს ნამინისტრალი.

— აა, ნამინისტრალი!.. მესმის, მესმის... მერე-და განა ეგ პიესა ჩვენში აღკრძალულია? ბ-ნო ფონ-შტერცელგუბერ,—მიუბრუნდა თურმე ბარონი ამ დროს შემოსულს მდივანს.—ნამინისტრალის ფონ-გეტეს ფაუსტი აღკრძალული რად არის?

— საშიში პიესა გახლავსთ, თქვენო აღმატებულებავ.

— რასა ბრძანებთ, ფაუსტი აგერ უკვე რამდენჯერ წარმოუდგენიათ ვენის გოფბურგთეატრში, თეატრის დირექტორთ ლაუბე აღარავის არც-კი ჰკითხავს ხოლმე,—უპასუხა თურმე ბარნეიმ.

— შეიძლება, ხოლო მე-კი გთხოვთ, დამამტკიცებელი საბუთი წარმომიდგინოთ, რომ ვენაში მართლა ნება-დართულია მაგ პიესის თამაშობა.

— მე სულ ცოტას ხანს დავრჩები აქა, თქვენო აღმატებულებავ, და ამიტომ მოწმობას, ვენიდგან დაბარებულს, ვერ მოვუცდი. თქვენ რომ გაისარჯებოდეთ და დეპეშას მისწერდეთ გრაფს ლანსკრონსკის, ან თეატრის დირექტორს ლაუბეს, დარწმუნებული ვარ, რომ პასუხსაც ჩქარა მიიღებდით და ნებასაც დამრთავდით.

— ეგ მეტის-მეტი თავის ტეხა და მტვრევა გამოვა. მითხარით, თუ ღმერთი გრწამსთ, რა არის შინაარსი მაგ პიესისა.

— თქვენო აღმატებულებავ, სცენაზედ ავი და ბოროტი სული, ეშმაკია გამოყვანილი,—უთხრა მდივანმა.

— ავი... ბოროტი სულიო!—დაიძახა თურმე შეშინებით ბარონმა:—კაი ამბავია, ეგღა გვაკლდა, რომ ეშმაკები გატლინკოთ სცენაზედ! არა, უკაცრავად. თქვენ მართალია, კაი კაცი ხართ, მაგრამ მაგ სათხოვარს-კი ვერა და ვერ აღგისრულებთ..

## დეპეშა

5 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია დებულება რუსეთის საიმპერატორო საისტორიო მუზეუმის თაობაზე: მუზეუმს საგნად აქვს მოაგროვოს და შეინახოს ძველი ნაშთები, რომელმაც ნათლად უნდა წარმოგვიდგინოს როგორც რუსის ერის წარსული ცხოვრება, აგრეთვე იმ ერებისა, რომლებსაც რუსეთში უცხოვრნიათ. მუზეუმთან ერთად გამართული იქნება წიგნთ-საცავი, რომელშიაც შეინახვენ სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერებსა და დასტამბულს წიგნებსა. მუზეუმი იქნება სამეფო გვარეულობის ერთ-ერთ წევრის ზედამხედველობისა და მზრუნველობის ქვეშ.

**მემელი.** გუშინ საღამოს, შვიდს საათზე, მემელის მახლობლად გაიარა გერმანიის ესკადრამ, რომელიც პეტერბურგში მიდის.

**ვენა.** დედოფალი ნატალია დღეს მიდის პარიჟში.

6 ივლისი

**პეტერბურგი.** მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ კეთილ ინებეს და 4-ს ივლისს საღამოს დაბრუნდნენ პეტერგოფს.

გერმანიის იმპერატორის მყოფობის პროგრამმა დაახლოებით შემდეგია: ტოლბუხის კანდელთან შეხვედრის შემდეგ უნდა მიბძანდეს პეტერგოფს. პირველი დღე გადადებულია მოსასვენებლად და სასეირნოდ. პარასკევს იმპერატორი ნახავს განსვენებულის იმპერატორის საფლავს და, ისაუზმებს რა გერმანიის ელჩთან, დაათვალიერებს დედა-ქალაქის გარემოს; საღამოს წაბძანდება „კრასნოე სელოში“ ბანკის დასახედავად და „Зоря“-ზე ცერემონიითურთ დასასწრებად. შაბათს დახედავს ჯარს ბანაკში და დაბრუნდება პეტერგოფს. კვირას იქნება გამართული მის უდიდებულესობის კონვოის ჯირითი, სადარბაზო სადილი და საღამოს იმპერატორი წაბძანდება ზღვით.

ოთახები მიჩენილია გერმანიის იმპერატორისათვის დიდს პეტერგოფის სასახლეში, იმ ნაწილში, რომელიც უჭირავს დიდს მთავრინას ოლგა ნიკოლოოზის ასულს და რომელიც შვიდის ოთახისაგან შესდგება.

რადგან „Биржев. Вѣдомости“ გამუდმებით გადაბეჭდავს ხოლმე „Вѣстникъ Финансовъ“-ის ცნობებსა წყაროს აღუნიშნელად, რის გამოც შეიძლება იფიქრონ, რომ „Биржевыя Вѣдомости“ ცნობებს პირდაპირ სამინისტროსაგან იღებსო,—ამიტომ ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ არავითარი ცნობები ჩვენგან ხსენებულს გაზეთს არ ეძლევაო.

**დაგეროორტი.** დღეს დილის ექვსს საათსა და 30 წამს ჩაუარა დაგეროორტს გერმანიის საიმპერატორო იახტამ და თან ახლდა ათი გემი.

პეტერბურგის ბირჟა, 5 ივლისი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგდნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 8 42 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 168 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 268½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 252¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

7 დღე ხუთშაბათი. ღირსისა თომასი და აკაკისა. კათოლ. წმ. აპოლონისა. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31. მთვარე 11 დღისაა.

8 დღე პარასკევი. წამება პროკოფისა. კათოლ. წმ. ქვრივის დედოფ. ელისაბედისა. სომეხ. ნ ხატონაქი. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—42, ჩადის 7—30. მთვარე 12 დღისაა.

9 დღე შაბათი. წამ. კირილესი. კათოლ. ეპ. კირილეს ვე. სომეხ. პოვნა წმ. გრიგოლ განმანათლებელის ნაწილთა. გახსნილება. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—43, ჩადის 7—20. მთვარე 13 დღისაა.

10 დღე კვირა. 45 წამებულთა ნიკოპოლეში. კათოლ. შვიდთა ძმათა წამებულთა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—28. მთვარე 14 დღისაა.

11 დღე ორშაბათი. ეფემიასი. კათოლ. პაპა პია I-სა. სომეხ. წამ. ანტონინასი. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—27. მთვარე 15 დღისაა. დილის 6 საათზედ მთვარე დაბნელდება.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 | „ |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვადზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან.

1) მომავალის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პანსიონში დანიშნულია ოთხი ვაკანსია ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ვისაც კენჭი ერგება ამ ვაკანსიებისა და წლოვანობის შესაფერს ეკზამენსაც დაიჭერს, მოსამზადებელს სკოლაში შემოსასვლელს, იგი მიღებულ იქმნება საზოგადოების სრულს ხარჯზე. კენჭი ჩამოეტარება მხოლოდ იმ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც ირიცხებიან ბანკის დამფუძნებლებად. ხსენებული ოთხი ვაკანსია სკოლის კომიტეტის მიერ განაწილებულია მაზრებს შორის ამ გვარად: ტფილისისა და დუშეთის მაზრებს ეკუთვნისთ ერთი ვაკანსია და დანარჩენები—სიღნაღისას, თელავისას და გორისას, თითო ვაკანსია.

2) ნახევარს ხარჯზე მიღებულ იქმნება ყველა მაზრების ღარიბ თავად-აზნაურთაგან ექვსი (6) ყმაწვილი, რომელნიც ვალდებულნი იქმნებიან შემოიტანონ წელიწადში ათ-ათი თუმანი—ხუთი შემოსვლისათანავე და ხუთიც იანვარში.

3) პანსიონერები მიიღებიან საკუთარს ხარჯზედაც და ამათ უნდა შემოიტანონ წელიწადში ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

4) საზოგადოდ სასწავლებელში შემომსვლელთათვის იქნება თავისუფალი ვაკანსია: პირველს განყოფილებაში 30 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში ხუთი (8 და 9 წლის ყმაწვ.), მესამეში ხუთი (9 და 10 წ ყმაწვილ.) და მეოთხეში 10 (10 და 11 წლის ყმაწ.). პირველს პროგიმნაზიულს კლასში ექვსი ვაკანსიაა და მეორეში 11, მესამე კლასში მსურველთათვის საკმაო რიცხვი აღმოჩნდება ვაკანსიებისა.

5) გარეთგან მოსიარულეთ შემოაქვსთ სწავლის ფასი წელიწადში თორმეტი მანათი იმავე წესით, როგორც პანსიონერები იხდიან ხარჯის ფულსა.

6) არც პანსიონში და არც გარედგან მოსიარულე ყმაწვილები მიღებულნი არ იქმნებიან, თუ მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ თანახმად ამ წლის „ივერიის“ ას ოც-და-მეექვსე ნომერში გამოცხადებულის პროგრამისა.

7) როგორც პანსიონში შემომსვლელმა, ისე გარედგან მოსიარულემ, თუ იმისი მშობლები მუდამ ტფილისში არა სცხოვრობენ, თავდები უნდა მოიყვანოს ტფილისის მცხოვრებთაგანი, რომელსაც ხელ-წერილი ჩამოერთმევა, რომ იგი კისრულობს ყმაწვილის მშობლების მაგიერობას, სანამ ყმაწვილს მშობლები არა ჰყავს ქალაქში, და საჭიროების დროს გამოცხადდება კიდეც სასწავლებლის უფროსთან, რომ სასწავლებლის ყოველივე მოთხოვნილება შესახებ ყმაწვილისა დაუყოვნებლივ აასრულოს.

8) ვისაც სურს ყმაწვილების მიბარება გარედგან მოსიარულედ, ან პანსიონში, თხოვნა უნდა გამოჰგზავნოს 22 მარიამობისთვის რიცხვამდის ტფილისს, ინსპექტორის სახელზე, და თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის მოწმობა, ბ) მოწმობა თავად-აზნაურობისა, გ) სიღარიბის მოწმობა წინამძღოლისა (პანსიონში შემომსვლელთათვის) და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

9) მარიამობისთვის 22—28-მდე იქმნება მისაღები და ხელ-მეორე ეგზამენიები. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

10) ვისაც წარსულს წლებში ჰქონდა შემოტანილი თხოვნა და ვაკანსია არა ჰრგებია, იმან ხელ-ახალი თხოვნა უნდა შემოიტანოს წელს და, თუ მაშინ არ წარმოუდგენია ყველა ზემოხსენებული დოკუმენტები, ახლა უნდა წარმოადგინოს. (3—3)

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი კასტანგ რუჟულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პოლტოველი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |

Доз. ценз. Тифлисъ, 6-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე